ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-444560/07

"06" 01 2017 ნ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.034.140) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1446329 22.08.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ა-ე" ფასადზე: გ-გ ღერძზე 5.20 დან 34.9 ნიშნულამდე აივნებზე გაუქმებულია ყრუ კედლები. ±0.00 ნიშნულთან ფასადის ნაწილი შესაღებია. 5.20 ნიშნულზე გაუქმებულია დეკორატიული კარნიზი. დ-დ ღერძთან დამატებით მოწყობილია რიგელები. 34.90 და 38.90 ნიშნულზე გ-დ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. ბ-გ მონაკვეთში 38.90 ნიშნულზე შეცვლილია კედლის ფორმა. 21.70 ნიშნულზე ა-გ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა.
„ე-ა" ფასადზე: ე-დ და გ-ბ მონაკვეთში 5.20 დან 18.40 ნიშნულამდე აივნებზე მოწყობილია ტიხრები. +21.70 და +28.30 ნიშნულზე ბ-ა მონაკვეთში გაუქმებულია დეკორატიული კარნიზი. ა-ა ღერძთან 5.20 ნიშნულზე შეცვლილია კედლის ფორმა.
„5-1" ფასადზე: 5.20 ნიშნულზე 3-1 მონაკვეთში გაუქმებულია დეკორატიული კარნიზი. 2-2 ღერძზე 18.40-დან 25.00 ნიშნულამდე შეცვლილია კედლის ფორმა. 4-4 ღერძზე 34.90 ნიშნულამდე შეცვლილია ღიობის გაბარიტები.
„1-5" ფასადზე: 18.40 ნიშნულზე 3-4 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ტიხარი. 25.00 ნიშნულზე 3-4 მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა.
გეგმების მიხედვით: -2.80 ნიშნულზე დ-ბ მონაკვეთში 3-3 ღერძთან გაუქმებულია კედელი და კარი. 4-5 მონაკვეთში გ-გ ღერძზე და დ-გ მონაკვეთში 3-3 ღერძზე დამატებით მოწყობილია ფანჯრები. 4-4 ღერძზე გაუქმებულია კედელი.
±0.00 ნიშნულზე ა-ა ღერძზე კოლონები გამოსულია კედლის სიბრტყიდან. გ-გ ღერძთან მდებარე სადარბაზოს კარს მონაცვლებული აქვს ადგილი 1-1 ღერძისკენ. დ-გ მონაკვეთში გაუქმებულია ერთი საფეხური. ე-დ მონაკვეთში გაუქმებულია კიბე.
25.00 ნიშნულზე 1-1 დ-დ ღერძთან დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენა.
28.25 ნიშნულზე ბ-ა მონაკვეთში შეცვლილია კაპიტალური მოაჯირის კონფიგურაცია.
34.90 ნიშნულზე გ-დ მონაკვეთში გაუქმებულია აივანი და გაზრდილია საცხოვრებელი (3.5მ^2). ბ-ა მონაკვეთში შემცირებულია აივნის სიგანე და გაზრდილია საცხოვრებელი ფართი (დაახლოებით 15მ^{2}ით). ა-გ მონაკვეთში ბრტყელი გადახურვის ნაცვლად მოწყობილია ტერასა და გაზრდილია სიგრძე.
38.50 ნიშნულზე შემცირებულია ლიფთის შახტის ფილის გაბარიტი.
ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების და კარების ნახატები, გაბარიტები, რაოდენობა და მონაცვლებული აქვთ ადგილი. შეცვლილია მეტალოპლასმასის ფერი და ნაწილობრივ შესამინია. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. ნაწილობრივ შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი. კაპიტალური და ნაწრთობი მინის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. ტერიტორიაზე მოწყობილია ხარაჩო. შეცვლილია რელიეის დონე. დამატებით მოწყობილია გამათბობლის კარადები ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. დასასრულებელია კაპიტალური მოაჯირების ზედაპირების ღებვა. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის ფერი. შეცვლილია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ტერიტორიის კეთილმოწყობა, კერძოდ გაუქმებულია გამწვანების ზონები და მის ნაცვლად მოწყობილია ფილების საფარი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "ლაგი ჯგუფი"-ს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი №01.72.14.034.140) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №444560/07 19.12.2016წ. და №447861/07 22.12.2016წ. განცხადებები.

საშსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე